სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030656349485222

14 / აპრილი / 2022 წ. **თბილისი #06-59/ო**

„2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების და „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის № 169 დადგენილების ფარგლებში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესების, ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

„2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის № 169 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის № 4 დადგენილების და „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის № 169 დადგენილების ფარგლებში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ზედამხედველობისთვის გამოყენებული წესები, ფორმები და მათი შევსების ინსტრუქციები თანდართული დანართების შესაბამისად:

ა) „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი#1);**

ბ) ”ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #2);**

გ) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #3);**

დ)“ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #4);**

ე) “იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #5);**

ვ)“საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #6);**

ზ) “უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #7);**

თ) “აივ -ინფექცია/შიდსის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #8);**

ი)„დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #9);**

კ) “ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #10).**

3. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძე.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).